

**THE INTERTEXTUAL TRANSFORMATION OF THE MEDEA MYTH AND  
SOVIET IDEOLOGICAL CRITIQUE: A CASE STUDY OF GIVI  
MARGVELASHVILI'S *MEDEA OF COLCHIS IN THE KOLKHOZ***

მითის ინტერტექსტუალური ტრანსფორმაცია და საბჭოთა სისტემის კრიტიკა  
გივი მარგველაშვილის რომანში - კოლხი მედეა კოლხოზში

**Tatia Davitadze**

Doctor of Philology,

Guest Senior Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University,

35/32 Rustaveli/Ninoshvili St., Batumi, 6010, Georgia,

+995 571 09 13 10, [tatia.davitadze@bsu.edu.ge](mailto:tatia.davitadze@bsu.edu.ge)

<https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

**Abstract.** This paper presents a comprehensive literary and critical analysis of the seminal novel *Medea of Colchis in the Kolkhoz* by the German-language Georgian writer Givi Margvelashvili. The primary objective of the research is to identify the postmodernist and post-structuralist paradigms within the work, with a central focus on the phenomena of intertextuality and metafictional narrative. The article provides a detailed representation of the author's strategy: a radical reinterpretation of the ancient myth of Medea and its adaptation within the absurd context of the Soviet totalitarian system.

The study analyzes Margvelashvili's use of irony, grotesque, and parody as potent instruments for the deconstruction of Soviet ideological mechanisms and pseudo-pathos. A key aspect of the research involves examining the intertextual role of Christa Wolf's *Medea*, which is viewed as a successful attempt at the character's ethical rehabilitation and the rewriting of her centuries-old fatal mythological destiny.

Through the analysis of the existential symbolism of Merab Berdjanishvili's sculpture and the simulated nature of the "Kolkhoz," the paper illuminates Margvelashvili's "ontotextual" world. In this space, the literary character emerges as an autonomous subject, struggling not only against mythological predestination but also against the "frozen" identity imposed by the totalitarian system. The paper concludes that Margvelashvili's metafictional narrative serves as a pathway for reimagining the past and achieving personal and national liberation from ideological constraints.

**Keywords:** Givi Margvelashvili, *Medea of Colchis in the Kolkhoz*, Postmodernism, Intertextuality, Metafiction, Myth of Medea, Soviet Totalitarianism, Christa Wolf, Ethical Rehabilitation, Ontotextuality.

**თათია დავითაძე**

ფილოლოგიის დოქტორი,

მოწვეული უფროსი მასწავლებელი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35 6010, საქართველო,

+995 571 09 13 10, [tatia.davitadze@bsu.edu.ge](mailto:tatia.davitadze@bsu.edu.ge)

<https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

**აბსტრაქტი.** წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, გივი მარგველაშვილის საკულტო რომანის — „კოლხი მედეა კოლხოზში“ — სიღრმისეულ ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. კვლევის მთავარ მიზანს შეადგენს ნაწარმოების პოსტმოდერნისტული და პოსტსტრუქტურალისტური პარადიგმების იდენტიფიცირება, სადაც ცენტრალური ადგილი ინტერტექსტუალობისა და

მეტაფიქციური თხრობის ფენომენებს ეთმობა. სტატიაში დეტალურადაა რეპრეზენტირებული ავტორისეული სტრატეგია — ანტიკური მედეას მითის რადიკალური რეინტერპრეტაცია და მისი ადაპტაცია საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის აბსურდულ კონტექსტში.

ნაშრომში გაანალიზებულია მარგველაშვილისეული ირონია, გროტესკი და პაროდია, როგორც მძლავრი ინსტრუმენტები საბჭოთა იდეოლოგიური მექანიზმებისა და ყალბი პათოსის დეკონსტრუქციისთვის. კვლევის ერთ-ერთ საკვანძო ასპექტს წარმოადგენს კრისტა ვოლფის „მედეას“ ინტერტექსტუალური როლის შესწავლა, რაც ავტორის მიერ მიჩნეულია პერსონაჟის ეთიკური რეაბილიტაციისა და მრავალსაუკუნოვანი მითოლოგიური ბედისწერის გადაწერის წარმატებულ მცდელობად.

მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკების ეგზისტენციალური სიმბოლიზმისა და „კოლხოზის“, როგორც სიმულაციური რეალობის ანალიზით, სტატია წარმოაჩენს მარგველაშვილისეულ „ონტოტექსტუალურ“ სამყაროს. აქ ლიტერატურული პერსონაჟი გვევლინება ავტონომიურ სუბიექტად, რომელიც ებრძვის არა მხოლოდ მითოსურ წინასწარგანსაზღვრულობას, არამედ ტოტალიტარული სისტემის მიერ თავსმოხვეულ „გაქვავებულ“ იდენტობას. ნაშრომი ასკვნის, რომ მარგველაშვილის მეტაფიქციური ნარატივი არის გზა წარსულის გადააზრებისა და იდეოლოგიური მარწუხებისგან პიროვნული თუ ეროვნული თავისუფლების მოპოვებისკენ.

**საკვანძო სიტყვები:** გივი მარგველაშვილი, „კოლხი მედეა კოლხოზში“, პოსტმოდერნიზმი, ინტერტექსტუალობა, მეტაფიქცია, მედეას მითი, საბჭოთა ტოტალიტარიზმი, კრისტა ვოლფი, ეთიკური რეაბილიტაცია, ონტოტექსტუალობა.

**შესავალი.** გერმანულენოვანი ქართველი მოაზროვნე და მწერალი, გივი მარგველაშვილი, წარმოადგენს იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს საბჭოთა ტოტალიტარული მანქანის რეპრესიული ბუნება. კომუნისტური რეჟიმის სისტემური ცოდნა და პირადი ტრაგიკული გამოცდილება საფუძვლად დაედო მის რომანს — „კოლხი მედეა კოლხოზში“. აღნიშნული ნაწარმოები ავტორის წარმოსახვის ნაყოფია, რომელიც პოსტმოდერნულ და პოსტსტრუქტურალისტურ ჭრილშია გააზრებული. საინტერესოა ტექსტის ბიოგრაფია: იგი თავდაპირველად გერმანიაში, ქალაქ ბერლინში გამოიცა და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისთვის მშობლიურ ენაზე. ნაწარმოების სიუჟეტური ღერძი საბჭოთა პერიოდის ბიჭვინთაში, მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მედეას მონუმენტის გარშემო ვითარდება. ნაირა გელაშვილი წიგნის წინასიტყვაობაში ყურადღებას ამახვილებს მწერლის ეგზისტენციალურ მარტოობაზე. მისი თქმით, მარგველაშვილისთვის საკუთარ მძიმე ხვედრზე მეტად მტკივნეული მისი წიგნების ბედისწერა იყო — ავტორი დიდ გულისტკივილს განიცდიდა იმის გამო, რომ მისი ნაშრომების ენობრივ სამშობლოში დაბრუნება ათწლეულებით დაგვიანდა, რამაც მისი შემოქმედების რეცეფცია და მკითხველთა წრე მნიშვნელოვნად შეამცირა (მარგველაშვილი, 2021: 18).

**მეთოდები.** კვლევის პროცესში გამოყენებულია პოსტმოდერნისტული და პოსტსტრუქტურალისტური ანალიზის მეთოდები. რომანის სტრუქტურულ მახასიათებლებში წამყვან როლს ასრულებს ინტერტექსტუალობა. ეს გამოიხატება მედეას ანტიკური მითის რადიკალურ რეინტერპრეტაციაში, სადაც მარგველაშვილი ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ტექსტებს, მათ შორის კრისტა ვოლფის „მედეას ხმებს“, კარლ მარქსის „კაპიტალსა“ და ევრიპიდეს კლასიკურ

ტრაგედიას. მითოსური სიუჟეტისა და საბჭოთა ყოფითი რეალობის შერწყმა ხდება ირონიისა და პაროდირების მეთოდების გამოყენებით. ამ გზით ავტორი ახერხებს მაშინდელი იდეოლოგიური მექანიზმების დეკონსტრუქციასა და მითის გროტესკულ ტრანსფორმაციას. ნაშრომი ასევე იკვლევს მეტაფიქციური თხრობის სტილსა და მარგველაშვილისეულ „ხელოვნური მკითხველის“ უნიკალურ კონცეფციას.

**შედეგები და მსჯელობა.** გივი მარგველაშვილის შემოქმედებით სამყაროში მეტაფიქცია არ წარმოადგენს მხოლოდ ვიწრო ლიტერატურულ ტექნიკას ან პოსტმოდერნისტულ თამაშს; იგი გვევლინება, როგორც ეგზისტენციალური გადარჩენის ფუნდამენტური ინსტრუმენტი. ავტორი ტექსტის ქსოვილში რამდენიმე რთულ, ურთიერთგადაჯაჭვულ შრეს აერთიანებს: აქ ერთმანეთს ხვდება საბჭოთა ტოტალიტარული მოდელის დაუნდობელი კრიტიკა, ნაციონალური და კულტურული თვითმყოფადობის მტკივნეული ძიება და კლასიკური მითოსური არქეტიპების რადიკალური ადაპტაცია პოსტმოდერნულ ეპოქაში. მარგველაშვილი აგებს სპეციფიკურ სიმულაციურ სივრცეს — ერთგვარ „ონტოლოგიურ ლაბორატორიას“, სადაც რეალური ისტორიული ტრავმები, პირადი ბიოგრაფიული მეხსიერება და ლიტერატურული ფიქცია ისე ითქვიფება ერთმანეთში, რომ ზღვარი სინამდვილესა და ტექსტს შორის საბოლოოდ იშლება.

ნაწარმოების მთავარ ფილოსოფიურ და სტრუქტურულ ღერძს „ხელოვნური მკითხველის“ ფენომენი შეადგენს. ეს პერსონაჟი, რომელიც ამავდროულად მოთხრობის მედიუმიცაა, პირველ პირში გვიზიარებს თავის მეტა-ლიტერატურულ დაკვირვებებს. მისი მტკიცებით, მხატვრული გმირების სიცოცხლისუნარიანობა და მათი ონტოლოგიური სტატუსი პირდაპირ და ექსკლუზიურად არის დამოკიდებული მკითხველის აქტიურ, შემოქმედებით წარმოსახვაზე. ამ კონცეფციის თანახმად, მკითხველის გარეშე პერსონაჟი კარგავს თავის ფიზიკურ, სულიერ და ფუნქციურ საყრდენს, რაც მას გარდაუვალი გაქრობისთვის წირავს. თხრობის ასეთი მანერა მკაფიოდ მიგვანიშნებს ავტორის მიერ წინასწარ გააზრებულ მეტაფიქციურ სტრატეგიაზე: მარგველაშვილი შეგნებულად აყალიბებს პერსონაჟს, რომელიც ფლობს ე.წ. „ზე-ცოდნას“ საკუთარი ხელოვნურობისა და ლიტერატურული ბუნების შესახებ.

ნაირა გელაშვილი რომანის წინასიტყვაობაში უაღრესად საინტერესო პარალელს ავლებს მარგველაშვილის პერსონაჟთა (კერძოდ, ვაკუშის) ყოფიერებასა და პოლიტიკურ რეალობას შორის. გმირებმა იციან, რომ მათი ბედისწერა აბსოლუტურად დეტერმინირებულია და წინასწარ არის გაწერილი ავტორის მიერ. ეს ლიტერატურული დეტერმინიზმი ავტორის მიერ გაიგივებულია ტოტალიტარულ დიქტატურაში ცხოვრებასთან — სივრცესთან, სადაც ინდივიდუალური ნება, არჩევანის თავისუფლება და სპონტანურობა ნულამდეა დაყვანილი და ყველაფერი მკაცრ „ზე-სტრუქტურას“ ექვემდებარება.

თუმცა, ნაწარმოებში კიდევ უფრო დიდი ეგზისტენციალური ტრაგედიაა „უმკითხველობა“. ჰერმეტიულად დახურულ ყდებს შორის გამოკეტილი პერსონაჟები, რომელთაც არავინ კითხულობს, განიცდიან სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას; ისინი თანდათანობით „ავადდებიან“ მარტოობით და ქრებიან არარსებობის უფსკრულში (მარგველაშვილი, 2021: 13). სწორედ ამ კრიზისულ მომენტში „ხელოვნური მკითხველი“ გვევლინება მხსნელად — ერთგვარ მედიუმად და სასიცოცხლო ენერჯის წყაროდ, რომელიც კითხვის აქტით სიცოცხლეს უბრუნებს ვაკუშს. ვაკუში კი, რომელიც წლების განმავლობაში მკითხველთა არყოლის გამო სრულ ვაკუუმსა და იზოლაციაში იმყოფებოდა, ბიჭვინთის ქუჩებში უმიზნო ხეტიალით ცდილობს საკუთარი ფრაგმენტირებული არსებობის გამთლიანებას და იმ ახალი რეალობის გააზრებას, სადაც ის აღარ არის მხოლოდ „ტექსტის ტყვე“, არამედ ცოცხალი ინტერაქციის ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ მარგველაშვილისეული „ონტოტექსტუალური“ კონცეფცია სცილდება წმინდა ლიტერატურულ ექსპერიმენტს და სოციო-პოლიტიკურ განზომილებას იძენს. როდესაც ავტორი საუბრობს პერსონაჟს „ტექსტუალურ ტყვეობაზე“, იგი პარალელს ავლებს საბჭოთა მოქალაქის ყოფიერებასთან, რომლის ცხოვრებისეული „სცენარიც“ წინასწარ იყო დაწერილი პარტიული იდეოლოგიის მიერ. ამ კონტექსტში, კითხვა ხდება არა მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის აქტი, არამედ პოლიტიკური გათავისუფლების მანიფესტი. „ხელოვნური მკითხველი“ აქცევს რა ყურადღებას მივიწყებულ პერსონაჟს, ამით არღვევს ტოტალიტარულ ამნეზიას და ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ყურადღება და ინტერპრეტაცია არის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია დაუპირისპირდეს სისტემურ გაუცხოებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომანში ბიჭვინთის, როგორც ლოკაციის, სიმბოლური დატვირთვა. საბჭოთა იმპერიის პერიოდში ბიჭვინთა აღქმული იყო, როგორც ელიტური „სოციალისტური სამოთხე“, თუმცა მარგველაშვილთან იგი გარდაიქმნება აბსურდის თეატრად. მერაბ ბერძენიშვილის მედეას მონუმენტი, რომელიც რეალურ სივრცეში ზღვას გადაწყურებს, რომანში ხდება სტატიკური საბჭოთა კულტურის სიმბოლო, რომელიც ცდილობს მითოლოგიური ტრაგიზმი იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქციოს. ვაკუუმის დიალოგი ამ ქანდაკებასთან წარმოაჩენს დაპირისპირებას ცოცხალ, ტანჯულ მეხსიერებასა და ოფიციალურ, „ბრინჯაოს“ ისტორიას შორის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საბჭოთა სისტემის მიერ რეალობის ფალსიფიკაციის მცდელობას.

**ინტერტექსტუალობა და მითის რეაბილიტაცია.** ნაწარმოების ინტერტექსტუალური ქსოვილი პიკს აღწევს და განსაკუთრებით მჭიდროვდება ბიჭვინთის სანაპიროზე, მედეას ქანდაკების სცენაში. შემთხვევითი და უბრალო მხატვრული დეტალი არ არის ის ფაქტი, რომ პერსონაჟ ვაკუუმს ხელთ უჭირავს სწორედ კრისტა ვოლფის „მედეა“ და ამ წიგნით ხელში ესაუბრება ბრინჯაოს მონუმენტს. აქ გივი მარგველაშვილი ატარებს გააზრებულ, ღრმა ინტელექტუალურ ექსპერიმენტს: იგი ერთმანეთს აჯახებს ორ სრულიად განსხვავებულ მედიუმს — მერაბ ბერძენიშვილის ვიზუალურ ხელოვნებას, რომელიც მატერიაშია განსახიერებული, და ვოლფის ლიტერატურულ ნარატივს, რომელიც იდეებისა და ხმების დინამიკას ეყრდნობა.

ავტორისეული ფილოსოფიური ხედვით, ქანდაკება წარმოადგენს გაქვავებულ, სტატიკურ მომენტს, ერთგვარ „ონტოლოგიურ საპყრობილეს“, რომელიც პერსონაჟს ერთ კონკრეტულ, უცვლელ ფორმაში აქცევს და ართმევს მას განვითარების საშუალებას. ამის საპირისპიროდ, მარგველაშვილი გვთავაზობს „საკითხავ სამყაროს“, რომელიც თავისი არსით დინამიურია, მრავალშრიანია და იძლევა მითის უსასრულო, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას (მარგველაშვილი, 2021: 173). ეს არის დაპირისპირება გაქვავებულ დოგმასა და ცოცხალ, ცვალებად აზრს შორის.

კრისტა ვოლფი იყო ერთ-ერთი პირველი გერმანელი მწერალი, რომელმაც გაბედა მედეას ფუნდამენტური რეაბილიტაცია. მან მითოლოგიურ გმირს ჩამოაშორა შვილების მკვლელის ის მძიმე სტიგმა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, ევრიპიდეს კანონიკური ტექსტის გავლენით, აქსიომად იყო მიჩნეული დასავლურ კულტურაში. ვოლფთან მედეა აღარ არის ირაციონალური შურისძიებით შეპყრობილი ქალი; ის არის ცოდნის მატარებელი, მკურნალი და უცხო პოლიტიკურ ინტრიგებში გახვეული მსხვერპლი, რომელსაც კორინთოს საზოგადოებამ საკუთარი დანაშაული გადააბრალა.

მარგველაშვილისთვის ეს ლიტერატურული რევილუცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მისი მტკიცებით, „ქვეყნად იმდენი მედეა არსებობს, რამდენიც შემოქმედმა შექმნა“, რაც გულისხმობს, რომ არ არსებობს ერთიანი, ობიექტური სიმართლე — არსებობს მხოლოდ ინტერპრეტაციების ჯაჭვი. ავტორი მიზნად ისახავს დაარღვიოს კანონიკური მითის მარწუხები და ქართველ მკითხველს დაანახოს, რომ მათი წინაპარი,

კოლხი ასული, არ არის ბოროტებისა და სისასტიკის არქეტიპული სიმბოლო. პირიქით, მარგველაშვილი მედეას წარმოაჩენს, როგორც იმ ტოტალიტარული გარემოებებისა და ქსენოფობიური სტერეოტიპების მსხვერპლს, რომლებსაც გარე სამყარო და ძალაუფლების სტრუქტურები საუკუნეების მანძილზე ახვევდნენ თავს. ამგვარად, მითის რეაბილიტაცია რომანში იქცევა ეროვნული ღირსების აღდგენისა და ისტორიული სამართლიანობის ძიების აქტად.

მედეას მითის მარგველაშვილისეული გააზრება წარმოუდგენელია ევრიპიდესეულ კანონიკურ ტექსტთან პოლემიკის გარეშე. თუკი ანტიკურ ტრაგედიაში მედეა განასახიერებს „ბარბაროსულ“ ვნებასა და დაუნდობელ შურისძიებას, რაც მას კულტურული სივრციდან გრიყავს, მარგველაშვილთან აქცენტი გადატანილია მის ონტოლოგიურ მარტოობაზე. ავტორი უარყოფს მედეას, როგორც „შვილების მკვლელის“ სტერეოტიპს და მას განიხილავს, როგორც მსხვერპლს იმ დიდი პოლიტიკური თამაშებისა, რომელთაც საბჭოთა ეპოქაში თავისი ანალოგი ჰქონდათ. ამგვარად, მითის ტრანსფორმაცია ნიშნავს პერსონაჟის გათავისუფლებას არა მხოლოდ დანაშაულისგან, არამედ იმ ცალმხრივი ლიტერატურული დეტერმინიზმისგან, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე სდევდა.

**სიმბოლიზმი და იდეოლოგიური კრიტიკა.** გივი მარგველაშვილის რომანის სიმბოლური სტრუქტურა კულმინაციას აღწევს ფანტასმაგორიული პერსონაჟის — მფრინავი მტვერსასრუტის, სახელად „პოლიპენ პოლიმატის“ — შემოსვლით. ეს ექსცენტრიკული სახე არ არის მხოლოდ ავტორის ფანტაზიის ნაყოფი; იგი წარმოადგენს საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მძლავრ, ირონიულ საპირწონეს. თუკი ტოტალიტარული რეჟიმი ათწლეულების განმავლობაში მიზანმიმართულად „ავსებდა“ ადამიანების ცნობიერებას სიყალბით, პროპაგანდითა და დამახინჯებული ისტორიული ნარატივებით, „პოლიმატი“, პირიქით — ერთგვარი კოსმოსური „სანიტარია“, რომელიც ორიენტირებულია გონების განწმენდასა და ინდივიდისთვის სულიერი თავისუფლების დაბრუნებაზე.

მისი მისტიკური დიალოგი ბიჭვინთის მედეასთან არის სიმბოლური მცდელობა, რომ მითოლოგიურ გმირს საბოლოოდ მოეხსნას ევრიპიდესეული დანაშაულის მრავალსაუკუნოვანი ტვირთი. მარგველაშვილისთვის მედეას ტრაგედია საბჭოთა ადამიანის ბედის ანალოგია: ორივე მათგანი მსხვერპლია იმ „ტექსტისა“ (თუ იდეოლოგიისა), რომელიც მათ ნების საწინააღმდეგოდ დაიწერა. ავტორი მედეას ამართლებს და მის ონტოლოგიურ განწმენდას სწორედ კრისტა ვოლფის ტექსტუალური სამყაროს მეშვეობით ახერხებს.

ვაკუშის მიერ გაჟღერებული „სასიხარულო ცნობა“ — მტკიცებულება იმისა, რომ მედეას საკუთარი შვილები არ დაუხოცავს და ისინი სინამდვილეში კორინთოელებმა ჩაქოლეს — ნაწარმოების უმთავრესი ემოციური და იდეური კულმინაციაა (მარგველაშვილი, 2021: 132). ამ მომენტში ლიტერატურა სცილდება ფიქციის ფარგლებს და იწყებს ფიზიკური რეალობის ტრანსფორმაციას: გაქვავებული ქანდაკება ცოცხლდება, იწყებს სახეცვლილებას და თავისუფლდება იმ ბრალდებისგან, რომელიც მას ბრინჯაოსავით მძიმედ აწვა.

ეს პროცესი მარგველაშვილისთვის არის მეტაფორა საბჭოთა (და პოსტსაბჭოთა) ადამიანის შესაძლებლობისა — გათავისუფლდეს თავსმოხვეული, ხელოვნური მითებისგან, ჩამორეცხოს იდეოლოგიური ნამსხვრევები და დაიბრუნოს თავისი ნამდვილი, პირველქმნილი და წმინდა იდენტობა. ავტორი გვიჩვენებს, რომ სიმართლის გაჟღერება და ტექსტის ხელახალი წაკითხვა არის ერთადერთი გზა დიქტატურის მიერ „გაქვავებული“ სულების გასაცოცხლებლად.

მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება რომანში მხოლოდ ლოკაცია არ არის; ის არის „გაქვავებული დროის“ მატერიალური რეპრეზენტაცია. ბრინჯაოს მონუმენტი, რომელიც ბიჭვინთის სანაპიროზე დგას, სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა კულტურის სურვილს — მოახდინოს მითის მონუმენტალიზაცია და მისი „დამორჩილება“. ქანდაკების სიცივე და სტატიკურობა კონტრასტში მოდის იმ ცოცხალ, ტექსტუალურ მედეასთან, რომელიც კრისტა ვოლფის წიგნში ცოცხლობს. ვაკუუმისა და ქანდაკების „დიალოგი“ სინამდვილეში არის მცდელობა, რომ მატერიაში ჩაჭედდებოდა სულმა გაარღვიოს ბრინჯაოს გარსი და დაიბრუნოს სუნთქვისა და მოძრაობის უნარი

**რომანის სათაური და საბჭოთა სისტემის მხილება.** ნაწარმოების სათაური — „კოლხი მედეა კოლხოზში“ — თავისთავად წარმოადგენს უმძლავრეს პოსტმოდერნისტულ ოქსიმორონს, რომელიც სტატიკურ ისტორიასა და აბსურდულ აწმყოს შორის არსებულ უფსკრულს აშიშვლებს. გივი მარგველაშვილი სათაურშივე აპირისპირებს ორ რადიკალურად განსხვავებულ ონტოლოგიურ მოცემულობას: „კოლხეთს“, როგორც მაღალი ცივილიზაციის, მისტიკური ცოდნისა და ეროვნული ღირსების სიმბოლოს, და „კოლხოზს“, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის, კოლექტიური მონობისა და კულტურული დეგრადირების სინონიმია.

სათაურის ამგვარი სტრუქტურა მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ მოახდინა საბჭოთა იდეოლოგიამ ეროვნული მითოსის პროფანაცია. ავტორი გვიჩვენებს, რომ ტოტალიტარულმა მანქანამ „კოლხეთი“ (სივრცე, სადაც მედეა სუვერენული სუბიექტი იყო) აქცია „კოლხოზად“ — ჩაკეტილ, ბიუროკრატიულ ციხედ, სადაც ინდივიდი საკუთარ ბიოგრაფიასაც კი აღარ ფლობს. ეს არის ენობრივი და იდეოლოგიური მხილება იმისა, თუ როგორ წაართვა სისტემამ ერს თავისი ისტორიული იდენტობა და სანაცვლოდ შესთავაზა ყალბი, „გეგმიურ ეკონომიკაზე“ დაფუძნებული სიმულაცია.

რომანში საბჭოთა სისტემის კრიტიკა აღწევს იმ წერტილამდე, სადაც მწერალი ააშკარავებს ენის ტოტალიტარულ ბუნებას. მარგველაშვილი გვთავაზობს ხედვას, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი იყო არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ „ტექსტუალური საპყრობილე“. ამ კონტექსტში, მედეას ყოფნა კოლხოზში არის მეტაფორა ნებისმიერი თავისუფალი აზრისა თუ მითოსური სიდიადის დამწყვდევისა დოგმატურ ჩარჩოებში. სათაურით მწერალი ამზადებს მკითხველს იმ დიდი მეტამორფოზისთვის, რომელიც ნაწარმოებში უნდა განხორციელდეს: ეს არის მითის გათავისუფლება იდეოლოგიური მარწუხებისგან და მისი დაბრუნება თავის ავთენტურ, „კოლხურ“ საწყისებთან, რაც სიმბოლურად საბჭოთა რეალობის დეკონსტრუქციასა და მისგან სულიერ განდგომას ნიშნავს.

საბჭოთა სისტემის კრიტიკა მარგველაშვილთან აღწევს თავის პიკს, როდესაც ავტორი აღწერს კოლხოზურ ყოფას, როგორც ტოტალურ სიმულაციას. აქ შრომა აღარ არის შემოქმედებითი აქტი, არამედ აბსურდული რიტუალია, რომელიც ინდივიდის დეპერსონალიზაციას ემსახურება. „კოლხოზი“ ხდება მეტაფორა იმ ჩაკეტილი სისტემისა, სადაც მითოლოგიური გმირებიც კი იძულებულნი არიან, დაემორჩილონ ბიუროკრატიულ ლოგიკას. მწერალი გვიჩვენებს, რომ ტოტალიტარიზმი ცდილობს შთანთქოს ყველაფერი ავთენტური და ის თავისი მახინჯი იდეოლოგიის ნაწილად აქციოს, თუმცა მეტაფიქციური თხრობა სწორედ ის ნაპრალია, საიდანაც პერსონაჟი ამ ჩაკეტილი წრიდან თავის დაღწევას ახერხებს.

**დასკვნა.** გივი მარგველაშვილი რომანის ამგვარი, მრავალშრიანი ინტერპრეტაციით, მკითხველის წინაშე აშიშვლებს საბჭოთა იმპერიის მთელ იდეოლოგიურ და სტრუქტურულ სიმახინჯეს. ტექსტში მედეას მითის გარდაქმნით, ავტორი ნათლად წარმოაჩენს კოლექტიური შრომისა და ე.წ. „გეგმიური ეკონომიკის“ სრულ

აბსურდულობას, სადაც ინდივიდი მხოლოდ სტატისტიკური ერთეულია. იგი დეტალურად აღწერს იმ ბიუროკრატიული სისტემის უაზრობას, რომელიც ადამიანს ართმევდა შემოქმედებით უნარიანობას და აიძულებდა, ეცხოვრა ყალბი, ზემოდან თავსმოხვეული დირექტივების მიხედვით. მარგველაშვილის ანალიზი სცილდება უბრალო პოლიტიკურ კრიტიკას; იგი გვიჩვენებს იმ ვერაგულ მეთოდებს, რომლითაც კომუნისტური პროპაგანდა ათწლეულების მანძილზე ცდილობდა ტრადიციული კულტურული ნიშნების, ეროვნული მეხსიერებისა და ავთენტური ღირებულებების წაშლას, რათა შეექმნა უსახური, მორჩილი და იდეოლოგიზებული „საბჭოთა ადამიანი“.

მეტაფიქციური ხერხების — „ხელოვნური მკითხველის“, პერსონაჟთა ონტოლოგიური შფოთვისა და ტექსტუალური ტრანსფორმაციების — გამოყენებით, ავტორი მკითხველს აძლევს უძლიერეს ინტელექტუალურ სტიმულს. იგი მოგვიწოდებს, არა მხოლოდ პასიურად გავეცნოთ ისტორიას, არამედ კრიტიკულად გადავიაზროთ წარსული, გავთავისუფლდეთ იმ იდეოლოგიური მარწუხებისგან, რომლებიც დღემდე შეიძლება ქვეცნობიერად ახდენდეს გავლენას ჩვენს აღქმაზე.

მარგველაშვილი გვაჩვენებს, რომ საბჭოთა საქართველოს მაშინდელი სავალალო მდგომარეობა იყო არა მხოლოდ ეკონომიკური ან პოლიტიკური კრაზი, არამედ ღრმა კულტურული და ეგზისტენციალური ტრაგედია, სადაც „კოლხეთი“ (როგორც მაღალი ცივილიზაცია) „კოლხოზად“ (როგორც დეგრადირებულ სისტემად) იქცა. საბოლოო ჯამში, რომანი „კოლხი მედეა კოლხოზში“ არის მანიფესტი აზროვნების თავისუფლებისა. იგი გვიმტკიცებს, რომ ისტორიის „ხელახალი წაკითხვა“ და მითების რეაბილიტაცია არის ერთადერთი გზა ნამდვილი იდენტობის დასაბრუნებლად და იმ სულიერი გაქვავების დასაძლევად, რომელიც ნებისმიერ ტოტალიტარულ რეჟიმს თან სდევს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ევრიპიდე. (2017). *მედეა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- ვოლფი, კ. (2004). *მედეა*. გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „იბისი“.
- მარგველაშვილი, გ. (2021). *კოლხი მედეა კოლხოზში*. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“.
- მარქსი, კ. (1954). *კაპიტალი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა*. ტომი I. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

### REFERENCES

- evrip'ide. (2017). *medea [Medea]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- volpi, k'. (2004). *medea [Medea]*. Translated from German by Maia Mirianashvili. Tbilisi: Publishing House „Ibisi“.
- margvelashvili, g. (2021). *k'olkhi medea k'olkhozshi [Colchian Medea in the Kolkhoz]*. Tbilisi: Caucasian House Publishing.
- marks, k'. (1954). *k'ap'it'ali: p'olit'ik'uri ek'onomiis k'rit'ik'a [Capital: A Critique of Political Economy]*. Vol. I. Tbilisi: State Publishing House.